ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

მუნიციპალური ინსპექცია

წერილის ნომერი: 17-0118289840
თარიღი: 16/10/2018
პინი: 6997

ადრესატი: შპს სკაი დეველოფმენტ
საიდენტიფიკაციო ნომერი: 404473556
მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, ჭაბუა ამირეჯიბის გზატკ. N6, ოფისი 1

გადაამოწმეთ: document.municipal.gov.ge

სამსახურში შემოსული თქვენი N10/01182072277-17 წერილის პასუხად გაცნობებთ,რომ ქ. თბილისში, სექტორი გლდანი, ვლადიმერ ნანეიშვილის ქ. N23/ ქ. თბილისი, გლდანი, მკ/რნ III-ში (საკ. კოდი 01.11.12.005.258) 2017 წლის 28 ივლისის N3433105 (AR1522878) ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით მიმდინარე მშენებლობის გამო, „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი“-ს 25^1-ე მუხლის შესაბამისად ამავე კოდექსის 45-ე მუხლით გათვალიწინებული სამართალდარღვევის თავიდან აცილების მიზნით სამსახური გაძლევთ რეკომენდაციას 120 კალენდარული დღის ვადაში გამოასწოროთ ან/და წარმოადგინოთ კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და ახალი მშენებლობის ნებართვა შემდეგი დარღვევის გათვალიწინებით:
ტერიტორიაზე გამწვანებული ტერიტორია არ არის მოწყობილი სპეციალური საფარი ნახაზის შესაბამისად. დამატებულია გამწვანება.
ფასადებზე დამატებულია კონდიციონერები და გამათბობლის ქვაბები.
„1-6“ ფასადზე შემცირებულია ალუკობონდის გაბარიტი.
„6-1“ ფასადზე შეცვლილია რუსტით ლესვის ფორმა.
„ე-ა“ ფასადზე შემცირებულია ალუკობონდის გაბარიტი. შეცვლილია პარაპეტის ფერი.
„ა-ე“ ფასადზე შეცვლილია კარების ნახატი და გაბარიტი. შემცირებულია ალუკობონდის გაბარიტი.
+0.00 ნიშნულზე „გ-დ“ მონაკვეთში დამატებულია პანდუსი.
სახურავზე შეცვლილია პარაპეტის ფორმა. ნაწილობრივ შეცვლილია გამწოვი შახტების ადგილმდებარეობა და გაბარიტი. კიბის უჯრედში შემცირებულია კიბის ბაქნის გაბარიტი და კარს მოხაცვლებული აქვსა დგილი. დამატებულია კოლონა და ცხაური.
დამატებით განგიმარტავთ, რომ „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი“-ს 25^1-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად „რეკომენდაციის შესრულების ვადაში დამკვეთის მიმართ სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოება არ დაიწყება“.

პატივისცემით,

გიორგი გეჯაძე

მუნიციპალური ინსპექცია-პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოადგილე (მუნიციპალური ინსპექციის უფროსის მოადგილე)

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

0160
ა(ა)იპ მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტო
ჟ. შარტავას, 7